# ლახტი



№ 12 კვირა, 25 მაისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 12



კ ო ც ნ ა, — ქანდაკება.

6 389
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

# ...მაინც ღრუბლებს!

მიწის სევდით გატყორცნილმა, ობოლ ზეცას დავესახლე!
და რა ვცანი მყუდროება, იქ ცხოვრება განვასახლე.
ვერ გაუძლე მიწის ტანჯვას, ვერ გაუძლე მიწის ურვას,
ლაჟვარდ ციდან განდგომილი, მას უგზავნი წყევა-კრულვას.
ფრთა შევისხი ოცნებისა და გავფრინდი ყოველ მხარეს,
ღრუბლებს, ღრუბლებს ვუზიარებ, ჩემს ვაება-სიმწუხარეს.
ღრუბლის მოთქმა შემიყვარდა, ლურჯ ეთერზე მისი ცურვა,
გავექეცი მიწის ოხვრას, შევითვისე ბედის მდურვა.
ჩემი გულიც ზეცაშია, ღრუბელთ შორის დამარხული
და მასშია ჩემი გულის საიდუმლოც დაფარული.
ღრუბლის მოთქმა შემიყვარდა, ღრუბლებს ვეტრფი მაინც ღრუბლებს,
ჩემი გულის საიდუმლოს, ჩემი სევდის ჭირისუფლებს.

ლადო.

# ებრაული მელოდია

(ლერმონტოვიდან)

სული მოიცვა მკაცრმა წყვდიადმა. ჰა, მომღერალო, ჰა—ოქროს ქნარი;
გაჰკარ მაგ სიმებს და განაღვიძე ხმები სამოთხის, ხმები ნარნარი..
და იმედები თუ სამუდამოდ არ დაუმარხავს ჯერ ბედის წერას,
კვლავ იფეთქებენ ცხელ ნაპერწკლებად და კვლავ ჰპოვებენ ჩემს გულში კერას.
და თუ გაყინულ ჩემსა თვალებში ცრემლთა წვეთი-ღა მოიპოვება,
გადმოინთხევა კვლავინდებურად, გადმოინთხევა—კვლავაც დაღნება!
დე იყოს მღერა შენი ველური, ხმა უხამური ემაგ სიმების!
მომწყინდნენ ხმები სამხიარულო ვით ეს გვირგვინი, მე მემძიმების!
მაშ, მეუბნები: ჰე, მომღერალო! მსურს მე ცრემლები, ცრემლით ვინამო,—
თორემ გასკდება გული სნეული, გასკდება იგი ტანჯვისა გამო..
დიდხანს უსიტყვოდ იტანჯებოდა, იგი ვაებით გარე-მოსილი,
მყუდროდ, უსიტყვოდ, ვით თასი ესე, თასი სიკვდილის შხამით აღვსილი.

სევ. მუსერიძე

# საუბარი

ჩემო ტურფავ! ჩუმათ, ფრთხილათ, ჩემთან წამო მარტოთ-მარტო:
აგერ ბაღში ბუჩქის ძირას, მსურს ფიქრები განვიმარტო;
...მახსოვს ტურფავ ერთხელ ღამე, შენ სარეცელს მოვეპარე,
და ფანჯრიდან იდუმალათ, ვნახე შენი სინარნარე;
ჯერ ბროლის მკერდს, და ორ ძუძუს, და შემდეგ მთლათ შიშველ სხეულს;
თვალი მოვკარ შენზე ნაფიქრს, სინამდვილეთ გადაქცეულს..
რარიგ შევკრთი, ღმერთო ჩემო! რარიგ ვიწყე მე კანკალი;
თითქოს მართლაც გაქარწყლდებას, მიპირებდა ტრფობის ძალი...
ახლა იქით მოვეფაროთ, ჩემო ტურფა, მარტოთ-მარტო;
კიდევ მინდა ძველი ფიქრი, სადღეისოთ განვიმარტო.
მხოლოდ ჯერ კი, ჩემს ბაგეზე დაასვენე შენი ლაწვი,
შენსკენ მლტოლვი სულის სწრაფვა ნაზ შეხებით დაწვი, დაწვი.
ჰო, ჰო, კარგი... ვიღაც მოდის!? ვიღაც მოდის გენაცვალე.
შინ შედიხარ?! ღმერთო ჩემო!.. მაშ აქ გიცდი ისევ ხვალე..

ირ. ტოფაძე.

# ობოლი

დამექცა რწმენის საყდარი, დღე დამეჩრდილა მზიანი,
გამიქრა წმინდა იმედი, სევდამ მაყენა ზიანი;
ჩამოხმა სახე ჭაბუკი, ატირდა ერი დროის სვიანი,
იმედს დაეძებს ვერ ჰპოვა და კვნესის შავი დღიანი.
დავარდნილ სხეულს ურიცხვი—ეხვევა ვითა ჭიანი,
ძიძგნის უშირებს ცოცხალ-მკვდარს ყორანი შავი ფრთიანი
ვეღარ ახარებს ქვეყანა გაშლილი მწვანე ტყიანი,
გულს ვერ უტოკებს დაჩაგრულს მიდამო ლამაზ-მთიანი.
იმედს დაეძებს ყოველგან ჩაგრული თვალ-ცრემლიანი,
და არ ჰგონია თუ კვლავ მას დღე დაუდგება მზიანი.

გიგო მეგრელი.

# მწარე ფიქრები

ღამეა, ღამე.. სნეულს ძილი არ მეკარება,
მუხის ძირს ვზივარ გულს მისერავს მწარე ფიქრები,
დუმილს კი ფრთები გაუშლია და არა ჰკრთება;
ირგვლივ სიოს ჰბერტყს შავ დემონის საზარი ფრთები.
ოჰ, რისთვის ჰკნება გული ჩემი, რისთვის მწუხრდება,
და რისთვის ღელავს განუწყვეტლად ბედკრული გული..
რისთვის ქვითინებს თვალი ჩემი, ცრემლი რათ სწყდება
განუსაზღვრელად, რად მიკვნესის მიტირის სული?!..
ეჰ, ამ ბნელ ღამეს რა მემართვის, არ ვიცი არა—
და არც ის ვიცი რა დამიხსნის შავ ფიქრებიდან;
გულ კი სევდამ, შავმა სევდამ, დაფლეთ-დალარა—
და ფიქრები კი კვლავ მეხვევა უკუმ ღამიდან.

ვ. სოფლიშვილი.

## ექსპრომტი

(ს. მ.)

ტურფავ რას მთხოვ? ჩემი ჰანგი შენსა ჰანგებს შეუერთო?
—არა ტურფავ! ჩემი ჩანგი შენთვის მაშინ დაიმღერებს,
როცა ერი დაჩაგრული თვის იარას მოიშორებს,
წამებული, წვალებული თავისუფლად იმოქმედებს!..

პ ფრანგიშვილი

* * *

(ნაწყვეტი ჰეინედან)

მშვენიერია მშვიდი ბრწყინვა ჩამავალ მზისა,
მაგრამ მაგ თვალთა ბრწყინვალება სჯობია შენში.
მწუხრის ბინდ-ბუნდი და ეგ შენი მკვეთრი თვალები,
სჭვრეტენ კაეშნით დაწყლულებულს გულის სიღრმეში
მწუხრის ბინდ-ბუნდი—ის სიმბოლო განშორებისა,
გულის სიბნელის და გულისა ძველი წყლულების..
რამოდენიმე წამის შემდეგ გაჰქრის შენ თვალებს
ჩემსა გულთაგან ოკეანე ვრცელი ბუნების.

ამური.

## ჟურულის „გაქცევა"

ტფ. ქალაქის საბჭოს 19 მაისის კრებაზე გამოირკვა, რომ გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული სამსახურს თავს ანებებს იმის გამო, რომ ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორის ალაგზე ქართველი ექიმი ლორთქიფანიძე არ მიიღეს და გამგეობამ ვილაც სომეხი მარქაროვი დანიშნა. თუმცა ალაგი პირველს ეკუთვნოდა და სიტყვაც კი მისცეს ბ. ჟურულს თავისმა „ამხანაგ" სომხებმა, რომ ლორთქიფანიძეს მივიღებთო, მაგრამ რას გამოდგება სოლოლაკის ბურჟუა სომხებთან ამხანაგობა, რომელთაც ქალაქი და ქალაქის საქმეები სათამაშო ბურთად გაუხდიათ?!. ამ ამბავს ძალიან დაუძმარებია „ინტერნაციონალისტი" ა. ხატისოვი, რომელსაც იმავე დღეს გაუგია და მთელი დღე პური არ უჭამია დარდისაგან. დაბრუნებულა ისევ საბჭოში და ქალაქის გამგეობის წევრებთან მოლაპარაკება ჰქონია, მაგრამ ვერაფერი გადაუწყვეტიათ. როდესაც ა. ხატისოვი ჟურულს ამ საწყენარი ამბის შესახებ სამძიმარს ეუბნებოდა ცრემლები გადმოსდიოდა თვალთაგან. ბოლოს იმით დაამშვიდეს ჟურული, რომ კრანზე მოილლება თულუხჩის ალაგი და იქ უთუოდ ქართველს დავნიშნავთო. ეს საქციელი ქალაქის გამგეობას შეცდომით მოსვლია ალბად ექიმი მარქაროვი ლორთქიფანიძე ეგონათო.

## გულის ნადები

ჰოი ბუნებავ, რა მიყავ,
არ დამიყენე დარები,
რათ გინდა ქვეყანათ, რომ იყვნენ
სულ დაცემული მკვდარები?

—

გზა ალარსაით მომეცი,
გადამიკეტე კარები,
მე შენგან გაწამებულსა,
გამიჩნდეს სევდის ქარები!

—

შენი შიშით მგონია,
არავის მივეკარები?
ვერ შემაშინებს, ილოდე,
შენი ყინვისა ჯარები!

—

ერთი დღე აღარ მომეცი,
სილოცხლე გასახარები,
რა დაგიშავე გამხადე,
მე ასე გასამწარები!?.

—

მაგ შენსა ცხარე სტიქიონს,
ვხვდები, მთას შევედარები,
ცეცხლს ამოუშვებ გულიდან
და შენ კი გამეპარები!..

მიშა.

## ბედნიერი ქმარი

(კითხვა-პასუხი)

— რა ბედნიერი ვარ ჩემო კარგო, მეტადრე ეხლა. დიახ, ეხლა, როცა ორთავე ერთი-მეორეს უდიმით, დაურცხვენელათ, უშიშრათ. ჩვენს ბედნიერებას ეხლა ყველა სულიერი და უსულო საგნებიც კი შემოგვხარიან.

— ღმერთო ჩემო! რა კარგი იქნებოდა შენი ღვთის მადლით ჩემთვის ეს წუთები არ მოგეგონებია. სად არის ბედნიერება? ბედნიერი ვიყავი მაშინ, როდესაც შორიდან გჭვრეტდი, როდესაც ძილი თვალს არ მეკარებოდა, როდესაც მთვარიან ღამეში უგზო-უკვლოთ ვეხეტებოდი და მხოლოდ შენზე ვოცნებობდი. ეხლა კი... ეხლა-ტანჯვა-წვალებას განვიცდი.

— მაშ ეხლა გძულდვარ?

— რაში მატყობ.

— შენი სიტყვები?

— გხუმრობ.

— მაშ ბედნიერი ვართ?

— უეჭველად.

— მაშ მოდი ჩამეკონე!

— ცოტა კითხვების შემდეგ ბატონი ბრძანდებით.

— ეჭვში ხარ?

— იმედია გამიქარწყლებ.

— კეთილი. ვინ იყო ის, ჩემო ხვთაებავ, დღეს საღამოს, ბაღში ხელებს რომ გიკოცნიდა და გულში გიკრავდა?

— ის... ის... ხო... ის ჩემი ნათესავის ნათესავია. წინეთაც ვიცნობდი, ძლიერ კეთილი კაცია და მოყვარეთაც მინდა გავიხადო.

— ოხ, რა ბედნიერი ვარ! ის ვინ იყო, ორი დღის წინათ მთვარიან ღამეში დაწვებს რომ გიკოცნიდა?

— შენ საიდან იცი?

— შორიდან კიცქეროდი.

— მეც კი ვაცოდი შენ რომ მომზერდი, შაკრამ რა... აკი გითხარი ამას წინეთ, ჩემი ძმობილია მეთქი. გათხოვების შემდეგ პირველი შეხვედრა იყო, და როგორც დიდი ხნის უნახავმა გადამკოცნა და შვილის მონათვლაც შემპირდა.

— ეხლა მივხვდი, მახსოვს... მართლაც რომ ბედნიერი ვარ. ის ვინ იყო, ოთხი დღე იქნება მას შემდეგ, რაც უკანა კარებიდან გასძახე: „არა, არა, ქმარს ველოდებიო?"

— ის... არ მახსოვს... ჰო, მართლა.. მახსოვს.. მახსოვს... ის ჩემი ნათესავია, ის რომ მოსულიყო ჩვენ ძილი იმ ღამეს არ გვექნებოდა. მე კი შენთან ხვევნა და ალერსი მინდოდა. იმისთვის უთხარი, ნუ მოხვალ-მეთქი.

— ეხლა კი ბედნიერზე-ბედნიერი ვარ ჩემო ღვთაებავ!

— მაშ ბედნიერი ხარ?

— მაშ არა! ეხლა დადგა ჩემთვის ის წუთები, რომლებიც მიხუთავენ სულს და გულს ეხლა არის რომ სულიერი და უსულო საგნებიც კი დამცინიან.

სელოს-ძმა.

## გლეხის ღიღინი

ზამთრის სუსხმა, ისეც ტანჯულს,
გაჭირება მომაყენა:
კარ-ჩაკეტილს სახლში დამსო,
დამიდუმა იმ წამს ენა.
ტოლ-ამხანაგს მომაშორა,
აღმიკრძალა მათთან ლხენა;
არვინ იყო ჩემი მომხრე,
გულს მიწყლავდა ცრემლთა დენა.
სისინებდა განუწყვეტლივ
დღე და ღამე ცივი ქარი,
ამოშაგდო გლეხი კაცი
გამიჟლიტა უღლათ ხარი
მწუხრის ჩადრში გაეხვია.
ჩემის ცოდვით არე-მარე;
მიიმალნენ ვარსკვლავებიც,
აღარ სჩანდნენ მზე და მთვარე.
ვილაც მოდგა უცბად კარზე,
ნელად დაჰკრა თავისი ხელი

და ეს მითხრა: „არ შეშინდე,
გაიმაგრე გლეხო წელი!
მოემზადე, მისაგებად,
უკვე დგება გაზაფხული;
მისგანა ვარ, ვფიცავ ზენას,
მოგზავნილი მოციქული“.
თუმც შევშინდი, მაგრამ მალე
მოვიბრუნე ისევ სული
და ვიგრძენი, რომ დადგება
დღეს თუ ხვალე გაზაფხული.
გაჰქრა სადღაც ზამთრის სუსხი,
დადგა მართლაც გაზაფხული;
ამოძრავდა მთლათ ქვეყანა
და გალაღდა ჩემი გული.

„ა—ტი.“

## მოწერილი ამბები

**დ. სამტრედია.** ცნობილი მუშების დამცველი და საზოგადო მოღვაწე ტა—ძე და ნოე ამას წინეთ უგზო-უკვლოთ დაგვეკარგა. ამ ამბავმა ძრიელ შეაწუხა სამტრედიელი საზოგადოება. მპოვნელისთვის დანიშნული იყო „პრემიათ“ ცხრა თუმანი, ან და ცხრა თუმნიანი ვექსილი. ბევრი ძებნა-ძიების შემდეგ ს—მა აღმოაჩინა „პოდიონი“ კონდუკტორის ჯიბეში მჯდარი. ყველას ძლიერ გაეხარდა მათი პოვნა, მით უმეტეს, როდესაც ზოგიერთი პირები ებრაელებს აბრალებდნენ და რომ ეს გამართლებულიყო, რა თქმა უნდა მუშტი-კრივი გაიმართებოდა ებრაელებსა და ქრისტიანთა შორის, მაშინ კი მშვიდობით „ოქროს“ წყარო პ—სთვის მოვლინებულო! ეხლა კი ამ საბრალო გვამის სიხარულს საზღვარი არ აქვს. ნეტავ როდემდის?

ქ—დარია ძრიელ ავად გახდა. ექიმების შემოწმებით გამარკვა, რომ ტვინის ანთებას ენა დაუგძელებია. საჭიროთ სცნეს ენის აპერაცია, და რაკი გაგებული მქონდა ამისთანა სენის მორჩენა მხოლოდ „ლახტით“ შეიძლებოდა, მორჩენის იმედი მივეცი. იმედია, არ დაიყონებთ და სულზე მოასწრებთ, რომ ეს ჯანმთელი, ჯანღონით სავსე ახალგაზ[რდა] და ვიხსნა ამ უკურნებელ სენისაგან.

კოდარა.



## მესტვირული

გუდა სტვირო, არ გაფუჭდე,
შენს ღიღინსა ვენაცვალე,
ხულიგნები შეაშინე,
ზურგზე ტყავი ააცალე.
ზემო-ჩიბათს ჩავიაროთ
გინდა დღეს და გინდა ხვალე,
გასაროზგი დაგვჩენია
ჯაშუშობის მოტრფიალე.
აგი არის დაღუპული
აბდალაი ჩერჩეტაძე,
გლახუნასა უძახიან
ხალხის მტერი ტვინთხელაძე
გლახა ენას არ აყენებს
შავრაზმელი და სულელი,
მისი ცუდი ყოფაქცევით
გადიკიდა მთლათ სოფელი.
დრო მოვა და ასეთ პირსა
დაადგება სატანჯველი
ლალატობა არ შერჩება,
გაუშრება ნერწყვი ყელში.
აბა სტვირო, გადვიაროთ,
ნიგოითსა უნდა შველა,
ისიდორე წვერ-ცანცარამ
დააშინა ფაცი ყველა.
არაფერს არ ერიდება
ეს ზნეობით დიცემული,
ქრისტეს მცნებას რათ ატარებს,
როცა არ სწამს ქრისტეს თქმული!
ქრთამებს იღებს და მით ცხოვრობს,
ბევრი ციხეს ჩააჯდინა,
ამავე დროს ხალხს ატყუებს
და ქადაგებს საყდარს შინა.
არ გასწორდა, უბედური
კვლავ ნავარდობს როგორც უნდა,
„ლახტო“ შენს მადლს ვენაცვალე
მიაყარე ქვა და გუნდა.

თა—რა.

## ჩვენებური „სუფრაჟისტკები“

ფრიად შესანიშნავი ყრილობა მოხდა ამას წინად ტფილისში, „სალაყბო პროსპექტზე“ ჩვენებური „სუფრაჟისტკებისა“.

მშვენიერი მჭერმეტყველური ენით დაასურათა თავისი შეხედულება დღევანდელ „დემოკრატკა“ ქალების მდგომარეობაზე გამოჩენილმა ორატორმა ქალმა.

— დიახ ქალებო, — დაიწყო ორატორმა — სწორედ, რომ უნუგეშო და აუტანელია საერთოთ ჩვენი მდგომარეობა. რაში გამოიხატება ჩვენი თავისუფლება? სრულიად არაფერში!.. განა საკმარისია ჩვენთვის მარტო გოლოვნის და მიხეილის პროსპექტი? მუშტაიდი, ვერის პარკი და ბოტინიკური ბაღი? და ისიც ამ უკანასკნელ ბაღში ხომ საღამოს 7 საათის შემდეგ აღარავის უშვებენ! — სწორედ იმ დროს, როდესაც ცა ჩამობნელებას იწყებს და ნეტარების სიამ-სიტკბილეს გულის ფანცქალით ელოდები. ამას გარდა სხვა რაღა გვაბადია! მარტო კლუბები და „დამაშნი ვეჩრები“?.. არა ქალებო, დროა ჩვენც თვალები გამოვახილოთ და დავაღწიოთ მონობას თავი. ყოველ ჩვენგანს ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთან თავისუფლად ველარ გაუვლია, მხოლოდ იმიტომ, რომ უსათუოდ ცილი უნდა დასწამონ და სთქვან: „აგერ მეფე-დედოფალიო“.

ამის შემდეგ კიდევ ორმა ორატორმა ქალმა ილაპარაკა. დასასრულ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

1) გამოეცხადოს ბოიკოტი იდგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს, განსაკუთრებით ქართულებს, რომლებიც ყოველ დღე ყურებს გვიჭედენ ერთი და იმავე ფრაზებით და გაი-

ძახიან — დღევანდელი ქალები გადაგვარების გზას ადგეხართ, ივიწყებთ სამშობლო ენას და აღარ გვიზდით მამულისათვის გამოსადეგ შვილებსო.

2) გამოეცხადოს ზიზღი იმ ლექტორ ქალებს და კაცებს, რომლებიც თავიანთ აბდა-უბდა და უშინაარსო ლექციებით აჯერებენ გულუბრყვილო მსმენელებს, რომ ვითომც დღევანდელი ქალები ქარაფშუტები ვიყვნეთ.

3) ეთხოვოს ვისაც ჯერ არის, რომ მოსპობილ იქნას ჟურნალებში კარიკატურების ბეჭდვა, რომლებიც უმთავრესად ქალებს შეეხებათ.

4) ჩვენი ულრმესი თანაგრძნობა გამოეცხადოს ,,ბრაჩნაია გაზეტას“ რედაქციას, როგორც ჩვენი იდეის მატარებელს.

5) გაეგზავნოს ჰაეროვანი კოცნის დეპეშა „გენაცვალე“-ს და „ოცნების კოცნა“-ს ავტორს.

6) აგრეთვე გამოეცხადოს თანაგრძნობა ტფილისში არსებულ მეორე და მესამე ხარისხოვან კლუბებს, სადაც იმართება სისტემატიურად „კაბარე‘‘ და „მასკარადები“.

7) გამოეცხადოს ბოიკოტი ტფილისის ყველა სააფთიაქო მაღაზიის პატრონებს, პუდრისა და სხვა სურნელოვან წყლების გაძვირებისათვის.

8) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რათა მან მიიღოს ზომები და სასეირნო პროსპექტებზე საღამოს 5 საათიდან აიკრძალოს „რაბოჩების“ სიარული, რადგანაც ისინი მასიურ სეირნობის დროს, თავისუფალ სეირნობას გვირღვევენ.

9) ეთხოვოს კიდევ ქალაქის მამებს, რათა მოიღოს მოწყალება და ბოტანიკური ბაღი ღამის 2 საათამდე ღია დასტოვოს.

10) დავაარსოთ სხვა და სხვა ქალთა საზოგადოებები, ამოვირჩიოთ კომისიები, დავყოთ ფუნქციებათ, რომელთა უმთავრესი მოვალეობა იქნება: ახალი მოდების განვითარება, „დამაშნი ვეჩრების“ გამართვა, თმების ხელოვნურად დახუჭუჭების მოწყობ-შესწავლა და სხვა. მრავალთა შორის დავაარსოთ „კავშირი სილამაზისა“.

11) გამოუცხადოთ ჩვენი უნარნარესი ,,სიმპატია‘‘ და მიჯნური ხელი გაუწოდოთ იმ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცებს (არა ნაკლები 17 წ.) რომელნიც ღრმად თანაგვიგრძნობენ და მზად არიან ჩვენ მიერ აფრიალებულ დროშის ქვეშ თავი მოიყარონ და ჩვენთან ერთად ,,სისხლი და ოფლი‘‘ დაღვარონ.

ყრილობა გათავდა დაბნელების 8 საათზე. ორატორი ქალები მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს, შემდეგ სიმღერებით დაიშალნენ და თავ-თავიანთ მიჯნურებით სხვა და სხვა შესახვევებში შეუხვიეს.

დ. მელია.



დ ე ბ ი.

## დღიური მილოცვები

ჯურჯველთელებს.

კოწია ნიშნიანიძეს
გაუთხელდა თავის ტვინი,
გოგებაშვილს დაემტერა,
ჩაუვარდა მისი ქინი.
მის მაგიერ შემოიღო

სხვა რუსული გამოცემა,
და ამიტომ მას ეკუთვნის
,,ლახტის‘‘ კუდით ცემა-ტყეპა.
მალე მგონი მიართმევენ
მხარზე ჯილდოს და მენდალსა;
ნეტავ სკოლა ვინ უბოძა
უქკუოს და ამ აბდალსა?!.

**ნიგოითის ფოსტის განყოფილებას**

აირია მონასტერი,
შეიცვალა ჟამი, დროი,
დასამარცხათ მოგდგომია
ვირთხების დიდი ხროი;
ჟურნალ-გაზეთს იპარავენ,
წერილებიც აღარ არი,
საჭიროა დასაცველად
შეადგინოთ ქონდრის ჯარი!

**ლანჩხუთის სამკითხველოს**

სამკითხველო ასე უნდა:
ხუმრობა და სიცილი,
თამარ-ლუბა-მარუსია
ლაზლანდარა, ყალბიშვილი;
გაილვიძე, გადარეკე,
მიაძახე: აი, უი!
ვის კითხვა სურს შემოვიდეს,
ვისაც არა, გარეთ ბჟუი!

**ლუკა ურუშაძეს.**

საჭიროა ძმაო, ლუკა
დაიბარო მეტი ,,ლახტი‘‘,
არვინა არ მოგატყუოს,
ბატონებსა გადაახტი!
იმედია შეასრულებ,
არ გეწყინოს ჩემგან ესა,
წამკითხველი ეტანება,
გეფიცები ზენა ღმერთსა.
ასი ცალი საჭიროა
გასაღდება ყოველ დღესა.

**ვანო კვაჭაძეს.**

ჩვენ გვეგონე სწორი კაცი,
შენ კი სხვაფერ მოიქეცი:
მავნე კაცსა დაეხმარე,
შეიცვალე ვითა მხეცი.
მოვა დრო და ამ საქციელს
მიეცემა სხვაი სუნი,
და მაშინ კი ,,ვანუჩკაჯან‘‘
გაგიჩნდება ფხანა-მუნი.

**შხანკოლას.**

სხვას ლანძღავ და სხვას ეხები,
გაგიბერავს მეტად სტვირი;
ერთი შენს გვარს გადახედე,
რამდენია მავნე პირი!.

თა—რა.

# ვის უნდა მივმართოთ

ღირს ქვეყანაზე ცხოვრება-ღა აწ?
ალარც ღმერთი სწამთ, ალარც მშობლები
და თვით მსოფლიო წყობილებასაც
ჩამოჰრღვევია თვისი კედლები
სხვა გზა არ არის: უნდა მივმართოთ
გელეიშვილებრ მეცნიერ ყბედსა,
იგი აგვიხსნის ყველაფერს ფართოდ,
ის დაგვიჯღანებს დახეულს ბედსა.
ჩაიცვამს თავის ლექტორის კურტკას,
გამოაცხადებს ქვეყნად მესიას
და თეატრიდან ხალხს წაუკითხავს
ერთ უშველებელს დიდსა ლექციას.
და ისე კარგა, ისე ჭკვიანად
და ისეთსავეს დაჭფქვავს საფქვავებს,
რომ ხალხისაგან მიიღებს ის ძღვნად
მაგარ-მაგარსა ბოლოკის თავებს.

თამარ ლამბაშიძე.

# ისტორიის მსურველი

## სპარსული ლეგენდა ანატოლ ფრანსისა

სპარსეთის ტახტზე ახალგაზრდა პრინცი ზემირი ავიდა, დაიბარა თავისი თვალ-უწვდენი სამეფოს მეცნიერნი, შეჰკრიბა ერთად და მიჰმართა:

„ჩემი მასწავლებელი ზები მარწმუნებდა, რომ ადამიანებს ცხოვრებაში უფრო იშვიათად მოუვიდოდათ შეცდომები, გამოცდილებით სავსე წარსული რომ შეისწავლონ ხოლმეო. მინდა ხალხის ცხოვრება შევისწავლო, გიბრძანებთ, საერთო ისტორია დასწეროთ და არაფერი არ გამოსტოვოთ.“

მეცნიერნი დაჰპირდნენ მისი მონარქიული სურვილის შესრულებას, გამოეთხოვნენ და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. მთელი ოცი წელიწადი სწერდნენ. და აი ერთს დღეს სასახლის წინ კვლავ გაჩნდნენ მეცნიერნი; უკან თორმეტი კარგად დატვირთული აქლემი მოსდევდათ. თითო აქლემს 500 დიდი წიგნი ეკრა ზურგზე.

მეცნიერთა კრებულის მდივანმა მოახსენა:

„მოწყალეო მეფევ, თქვენი დიდებული სამეფოს მეცნიერების კრებული ბედნიერია თქვენი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე გაგიშალოთ მსოფლიოს ისტორია, რომელიც მათ თქვენი მაღალი ბრძანებისა და სურვილისამებრ დასწერეს. სულ ექვსი ათასი წიგნი გამოვიდა და შიგ ყველაფერი სწერია, რაც კი შეგვაძლო ხალხის ცხოვრებათა და სამეფოთა ბედის ცვალებაზე შეგვეკრიბა. ძველებური ხელთნაწერებით ვისარგებლეთ და ზედ დაურთეთ ჩვენი აზრები. ამ ისტორიის შესავალი აიმ წინა მდგარს აქლემს ჰკიდია და ძლივსა ზიდა, დამატებები კი სულ უკანასკნელს უფრო ღონიერსა და გამძლე აქლემს.“

მეფემ სთქვა:

„გმადლობთ შრომისთვის, მაგრამ ხომ იცით სახელმწიფო საქმეების გამო როგორ მოუცლელადა ვარ. ამასთანავე სანამ თქვენა შრომობდით დავბერდი, სპარსელი პოეტისა არ იყოს, ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე, ულრმესს მოხუცებულობასაც კი რომ მივაღწიო, მაინც იმედი არა მაქვს იმდენი დრო ვიქონიო, რომ ეს გრძელი ისტორია წავიკითხო. თუ შეიძლება, აქედან ამონაკრები პატარა, ადამიანთა სიცოცხლის ხანასთან შედარებითი ისტორია შეადგინეთ.“

სპარსეთის მეცნიერებმა კვლავ ოცი წელი იმუშავეს და მეფეს 15(0 წიგნი სამ აქლემზე აკიდებული მოართვეს.

,,მეფევ, — დაიწყო იმავე მდივანმა უკვე დასუსტებული ხმით, — აი ჩვენი ახალი ნაწარმოები. მგონი არსებითი არაფერი არ გამოგვიტოვებია“.

„შეიძლება, — უპასუხა მეფემ, — მაგრამ ვერც მაგას წავიკითხავ; დავბერდი; ჩემს ხანაში მაგისთანა საქმეს ხელს აღარ ჰკიდებენ. კიდევ შეამოკლეთ ეგ ისტორია და დააჩქარეთ“.

მეცნიერები ისე მუყაითადა და ჩქარა მუშაობდენ, რომ ათი წლის შემდეგ უკვე ხელმწიფეს გამოეცხადენ. უკან ახალგაზდა ხუთასი წიგნით დატვირთული სპილო მოჰყავდათ.

„ვიმედოვნებთ, რომ ეხლა მაინც მოკლედ დავწერეთ, და ჩვენს დიდებულ მეფეს ვაამებთ“ — სთქვა მდივანმა.

„არა სრულიად, - უთხრა მეფემ, — სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ვარ. შეამოკლეთ, შეამოკლეთ კიდევ, რომ სიკვდილის წინ მაინც გავიგო კაცობრიობის ისტორია“.

ხუთი წლის შემდეგ იგივე მდივანი კვლავ სასახლეში გამოცხადდა. ხელში ყავარჯენი ეჭირა და უკან მოსდევდა პატარა ვირის ჩოჩორი, რომელსაც ზურგზე სქელი წიგნი ეკრა.

„ჩქარა, — უთხრა მორიგე კარის კაცმა, — მეფე სიკვდილის პირას არის“

მეფე მართლა სიკვდილის სარეცელზე იწვა. მდივანსა და იმის წიგნს უკვე მიმკვდარებული თვალებით შეხედა და ამოხვრით ძლივს ამოიჩურჩულა:

„მაინც ისე ვკვდები, რომ კაცობრიობის ისტორიას ვერ ვიგებ“.

„მეფევ, — უპასუხა მეცნიერმა, ისევე ახლო იყო სიკვდილის პირთან, როგორც თვით მეფე, — სამი სიტყვით გიამბობ მთელს ისტორიას: ,,იბადებოდნენ, იტანჯებოდნენ, იხოცებოდნენ“.

ამ გვარად სპარსეთის მეფემ სიკვდილის პირად მაინც გაიგო კაცობრიობის ისტორია. **გ. ნამორაძე**

## აკროსტიხი

(ბელაგორისთვის)

ბედნიერი ხალხის ცხოვრობს,
ერთ პატარა დაბას შინა;
ლაზღანდარა უსაქმური,
არ ვიცი ვინ გააჩინა!
გულით დიდი, ცოდნით მცირე,
ორჭოფობა მრავალ გვარი. .
რა უწოდო, მათ ცხოვრებას
იმ ,გმირების“ შესადარი?!
სათითაოთ რომ ავწერო
მოუნდება მთელი ოზმა, —
ორიოდე ხომ არ არის
ქარაფშუტას ჯიში მოდგმა?!
ერთს არა აქვს მისი გრძნობა, —
ილანძღება დაბა მთელი,
ფრთა მოკვეცონ ბინძურ გრძნობებს
ერთმა მაინც დაჰგმოს ბნელი!
ისინი დღეს ძველებურათ,
ნავარდობენ ბლაყე თავით,
ტოლუმბაშებს კვლავ ირჩევენ
ერთმანეთის თვალის ქნევით.
ლანძღვა, ჩხუბით და გინებით
იმათ უყვართ დასასრული,
გვერდები აქვთ დაბეჟილი
ეხლა ,,ლახტით“ დაისრული.
ნეტავ თუ გაგიჭირდათ
ცნობა მათი, ვინც არს.. რიხი?
იმ თავიდგან წაიკითხეთ
აი ჩემი აკროსტიხი! **მოტირალი.**

## დ ე პ ე შ ა

**ქუთაისი**. შხანკოლა, რომ ქუთაისისკენ მოაქანებდა თავის ჰაეროპლანს, უცბად მოულოდნელ ნიადაგზე, მუზა გაექცა, ამის გამო შხანკოლას ენერცია დაენგრა და თავდაღმა დაეშვა ძირს და რიონში დაიწყო ბანაობა. კიდე მადლობა ღმერთს, რომ მებორნეებმა შხანკოლა დახრჩობას გადაარჩინეს, თორემ სამუდამოდ დაეკარგებოდა ეს ღირსშესანიშნავი შვილი საქართველოს, და მაშინ უნდა გეყურებინათ უბრალოთ კალმის და ქაღალდის ხარჯვას, მის ნეკროლოგების და მოგონების შესახებ.

**იძიდანევი**. გასულ კვირას ქუთაისის ფოჩტაში მეტად საგულისხმო ამბავი მოხდა. ვიღაც ურჩი კორესპონდენტს ფოსტის ყუთში წერილი ჩაეგდო შემდეგი ადრესით: ,,На той свѣтъ“. როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი ფოსტაში Безъ всякой церемонiи გახსნეს, რომელშიაც აღმოჩნდა ხელმოუწერელი საჩივარი ქალაქის თვითმართველობაზე. წერილი საჩქაროთ გადაეცა ქალაქს თავს ჩიქოვანს, რომელმაც ექვით ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოცი მაწანწალა ძაღლი დააპატიმრა. ჯერ საქმე ასეა და შემდეგში რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. **მიშა.**

**დ. სურამი.** ეკლესიის კასაში თავი შეპარულა, ,,ქანქრები“ გადუხანხლია და საანგარიშო წიგნებიც თან გადაუტანებია. თურმე ძალიან სწუხს მნათე რა კი ესპობა საშუალება ანგარიშის ჩაბარებისა მოანგარიშეებთან. **დასჯილი.**

**ს. ალი.** (გორ. მაზ.) საკუთარი შრომით მღვდლების გახსნილი სამიკიტნო დაიკარგა. ეჭვი მიიტანეს, რომ მ ისიდორეს კუჭში უნდა იმალებოდესო. მ. სერგი სასტიკ გამოძიებას ახდენს. **და—ლი.**

**დ. სამტრედია**. აქაურმა დასელებმა პანაშვიდი გადაიხადეს პ. გელეიშვილის მშვიდობიანად გადარჩენისათვის, რომ არ შეიქმნა მსხვერპლი ქუთათურ ,,ობსტრუქციონისტების“ ლიდერმა გ. უ—ძემ სიტყვა წარმოსთქვა და მოკლეთ დაახასიათა გელეიშვილის საზოგადო მოღვაწეობა, იქვე შეადგინეს საპროტესტო ქაღალდიც ,,ქართველი ხულიგანების“ წინააღმდეგ, რომელსაც ხელი მოაწერეს 100 მედროგემ, 200 მეარღნემ და 1 მუშამ და ინტელიგენტმა, რომელიც გაეგზავნა გაზ. ,,აზრის“ რედაქცია თავის აზრის სალარაში მოსათავსებლად.

ტყუილი გამოდგა ის ხმები თითქოს აქაურ ბაგაჟის კასირი პ. დ — უა ქანქარში ,,ჩაიმასქნილიყოს“. პირიქით თავს კარგადა გრძნობს, მხო-

ლ 336 / 1914 / 9 / 2

ლოდ, ხანდისხან ცუტ-ცუტას„ ჩაი-მასქნავს“. „ეგ საზოგადო წესია ჩვენს მოხელეებშიო“ ამბობს ხოლმე. ჟურნალ-გაზეთების აგენტს ვ. ა—ძეს გაუწყვეტია გაზ. „ჩვენი ერი“ და „სახალხო გაზეთი“ მაგრამ ჩაჭკეტოს შკაფში საშაგიეროთ ის ალაგას გაჭყრდოს „აზრი“. ჩინებული გარდაწყვეტილებაა, მეტა ჩემჯა ღმერთმა!

შუ—შუ.

# გასართობი

ამ რვა წლის წინად, ჩვენს ტფილის'ში გამოდიოდა ქართულ ენაზე ორ კაპეიკიანი გაზეთი „ს.“ ერთხელ ამ გაზეთის რედაქტორის სტუდენტი შვილი ჩამოვიდა საზღვარ გარეთიდან და ინახულა ის სტამბა, სადაც მისი მამის გაზეთი იბეჭდებოდა. სტუდენტი შეეკითხა იმ ასოთამწყობს, რომელიც ხსენებლ გაზეთზე მუშაობდა:

— მეგობირო, მე თუმცა კავკასიელი ვარ, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა მეძლევა ქართულ სტამბის ნახვისა, და მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში არც ასოთამწყობნი ვარგებულან და არც სასტამბო ტეხნიკა ყოფილა განვითარებული. აბა ევროპაში ნახეთ, ბეჭდვით საქმის ტეხნიკა, როგორ განვითარებულია და თვით ასოთამწყობნიც როგორ წერილებსა სწერენ ჟურნალ-გაზეთებში.

ასოთ-ამწყობმა თითქოს იუკადრისა ასეთი სიტყვები სტუდენტისა და ირონიული ღიმილით უპასუხა:

— მართალსა ბრძანებთ, ბატონო, ევროპაში ყველაფერი განვითარებულია, და ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ევროპაში არც მამითქვენისთანა კაცები არიან გაზეთის რედაქტორებად.

—

გამოჩენილ იტალიელ ექიმს აბერნეტის მეტად სძულდა, როცა ავადმყოფები გრძელის ლაპარაკით მოჰყვებოდნენ თავიანთ ავადმყოფობის ამბავს. ერთი ქალი, რომელმაც კარგათ იცოდა ეს თვისება აბერნეტისა, მივიდა ექიმთან, უჩვენა ხელი და მარტო ერთი სიტყვა უთხრა:

— დავიწვი.

— მალამო!—მოკლედ მოსჭრა ნასწავლ ექიმმა. მეორე დღეს ქალი ისევ მივიდა ექიმთან და უთხრა:

— უკეთ მაქვს.

— განაგრძეთ,—წაიდუდღუნა აბერნეტიმ. ერთი კვირის შემდეგ ქალი ისევ მივიდა ექიმთან და მარტო ორი სიტყვა უთხრა:

— მომირჩა, რამდენი?

— თქვენისთანა ჭკვიანი ქალებისაგან მე არავითარ სასყიდელს არა ვღებულობ.—მიუგო სიამოვნებით ექიმმა.



ქართველი ღარიბი მოწაფე

დატვირთული ვარ წიგნებით
და მხარზე დიდი კალმითა
ღარიბ დედ მამას ჰგონია
სახლს ავაყვავებ სწავლითა.
„ეგზამენებზე“ მივდივარ
მშიერ-მწყურვალი, უგულო,
თუნდ გავათავო სად წავალ
ღარიბ-ღატაკი უფულო.



ქართველი ღარიბი სტუდენტი.

გიმნაზია გავათავე
ვაითა და ვაგლახითა,
ბულვარზე დავხტი, ვცუნცრუკებ
ბარიშნებთან მათრახითა.
უნივერსიტეტს ვინ მაღირსებს
ფრთა გავშალო ცოდნაშია,
ყიალი რომ მომბეზრდება
მწერლათ შევალ ფოსტაშია!..

ტფილისი სტამბა „შრომა“ მიხრანის 4.
რედაქტორ-გამომცემელი ჯ. მელაშვილი.